

(სსმ III, 23.04. 2010 წ., N 46, მუხ. 692)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
430.030.000.22. 022. 014.541

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება N28/ნ
2010 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი**

**საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების მიზნით
გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქცია**

“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N 37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,
ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქცია“ დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დ. შაშკინი

**საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების მიზნით
გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქცია**

მუხლი 1. ინსტრუქციის მიზანი

ეს ინსტრუქცია ითვალისწინებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, რომლის გატარებაც საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (შემდგომში „დაწესებულება“) სავალდებულოა ადამიანების გადამდები დაავადებების, საგანგებო სიტუაციების, ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის და საკუთრების ხელყოფის, ფეთქებადი

ნივთიერებების დაწესებულებაში აღმოჩენისას ან დაწესებულებაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შემოსული ანონიმური ზარების დროს.

მუხლი 2. ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადამიანების გადამდები დაავადებები – ეგზოტიკური და განსაკუთრებით საშიში ინფექციების ერთეული შემთხვევები, საშიში ინფექციების ჯგუფური შემთხვევები, საშიში ინფექციების ეპიდემიური აფეთქებები, ეპიდემიები, პანდემიები, ადამიანების საშიში ინფექციები დაუდგენელი ეტიოლოგიით;

ბ) განსაკუთრებით საშიში ინფექციები – პათოგენური ბიოლოგიური აგენტებით გამოწვეული დაავადებები, რომლებიც განსაკუთრებულ რისკს უქმნის ადამიანის ან/და ცხოველის ჯანმრთელობას;

გ) ეპიდემია – განსაზღვრულ ტერიტორიაზე ან მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფში დროის გარკვეულ პერიოდში დაავადების შემთხვევების მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელ (ფონურ) დონესთან შედარებით;

დ) ეპიდემიური აფეთქება – მოსახლეობის შეზღუდულ რაოდენობაში გადამდები დაავადების ახალი შემთხვევების სიხშირის მკვეთრი ზრდა ხანმოკლე პერიოდში;

ე) პანდემია – გადამდები დაავადების უჩვეულოდ ფართო (რამდენიმე ქვეყნის, კონტინენტის ან მსოფლიოს მასშტაბით) გავრცელება, რომელიც მოიცავს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს;

ვ) საგანგებო სიტუაცია – ობიექტზე, გარკვეულ ტერიტორიაზე ან აკვატორიაში ბუნებრივი მოვლენების, სტიქიური უბედურების, ხანძრის, ავარიის, კატასტროფის ან სხვა სახის უბედურებების, აგრეთვე დაზიანების საბრძოლო საშუალებათა გამოყენების შედეგად წარმოქმნილი სიტუაცია, როდესაც ირღვევა ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის ნორმალური პირობები, საფრთხე ემუქრება მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ზარალდება მოსახლეობა და ზიანდება ბუნებრივი გარემო;

მუხლი 3. ადამიანების გადამდები დაავადებების დროს დაწესებულების მიერ გასატარებელი ღონისძიებები

1. დაწესებულებაში ადამიანის გადამდები დაავადებების შემთხვევის გამოვლინებისას დაწესებულების დირექტორი ვალდებულია, „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N101/ნ ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად, უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება და დაუკავშირდეს

ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს;

ბ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს;

გ) ადამიანის გადამდები დაავადებით დაინფიცირებული მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს;

დ) ადამიანის გადამდები დაავადებით დაინფიცირებული მასწავლებლის, ადმინისტრაციული-ტექნიკური პერსონალის ოჯახის წევრებს.

2. დაინფიცირებული პირის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანამდე დაწესებულების დირექტორი უზრუნველყოფს მის იზოლირებულად განთავსებას;

3. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ადგილობრივი სამსახურის დასკვნის საფუძველზე დაწესებულების დირექტორი მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ და უზრუნველყოფს სადებიზინფექციო სამუშაოების ჩატარებას.

4. გადაწყვეტილებას სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ ინდივიდუალური-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით იღებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დაწესებულების დირექტორის მომართვის საფუძველზე.

მუხლი 4. საგანგებო სიტუაციების დროს დაწესებულების მიერ გასატარებელი ღონისძიებები

1. წყალდიდობის და ღვარცოფის დროს დაწესებულების დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) მოსწავლეების, მასწავლებლების და დაწესებულების შენობაში მყოფი სხვა პირების დაწესებულებიდან გამოყვანა და მათი უსაფრთხო ადგილას განთავსება;

ბ) იმ პირთა აღწერა, რომლებიც ევაკურებულნი იქნენ დაწესებულების შენობიდან;

გ) გაზის, ელ. ხელსაწყოების, წყალსადენი ქსელის გათიშვა;

დ) დაწესებულების შენობაში არსებული დოკუმენტაციის, კომპიუტერული ტექნიკის, ლაბორატორიული მოწყობილობების, ნივთების და ინვენტარის შეძლებისდაგვარად განთავსება შენობის მაღალ სართულებზე;

ე) დაშავებულებისათვის გადაუდებელი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა.

2. ქარიშხლისა და მეწყერის წარმოქმნის საშიშროების შესახებ გაფრთხილების მიღებისას დაწესებულების დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) გაზის, ელ. ხელსაწყოების, წყალსადენი ქსელის გათიშვა;

ბ) მოსწავლეების, მასწავლებლების და დაწესებულების შენობაში მყოფი სხვა პირების დაწესებულებიდან გამოყვანა და მათი უსაფრთხო ადგილას განთავსება;

გ) იმ პირთა აღწერა, რომლების ევაკურებულნი იქნენ დაწესებულების შენობიდან;

დ) ევაკუაციის დროს, შეძლებისდაგვარად, დოკუმენტაციის კომპიუტერული ტექნიკის, ლაბორატორიული მოწყობილობების, ნივთების და ინვენტარის უსაფრთხო ადგილას განთავსება;

ე) დაშავებულებისათვის გადაუდებელი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა.

3. ხანძრის შემთხვევაში დაწესებულების დირექტორი ვალდებულია:

ა) ხანძრის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის მისვლამდე შეძლებისდაგვარად მიიღოს ზომები ადამიანების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების გადასარჩენად, ხანძრის ჩასაქრობად;

გ) ხელი შეუწყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს ხანძრის ჩაქრობაში, მისი გაჩენის, გავრცელების მიზეზებისა და პირობების დადგენაში, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დამრღვევ და ხანძრის გაჩენაში დამნაშავე პირთა გამოვლენაში;

დ) დაწესებულების ტერიტორიაზე ხანძრის ჩაქრობისას გამოყოს აუცილებელი ძალები და საშუალებები;

ე) უზრუნველყოს მოსწავლეების, მასწავლებლების და დაწესებულების შენობაში მყოფი სხვა პირების დაწესებულებიდან გამოყვანა და მათი უსაფრთხო ადგილას განთავსება;

ვ) უზრუნველყოს იმ პირთა აღწერა, რომლების ევაკურებულნი იქნენ დაწესებულების შენობიდან;

ზ) შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს დოკუმენტაციის კომპიუტერული ტექნიკის, ლაბორატორიული მოწყობილობების, ნივთების და ინვენტარის უსაფრთხო ადგილას განთავსება;

თ) უზრუნველყოს დაშავებულებისათვის გადაუდებელი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა და მათი ოჯახის წევრების ინფორმირება;

4. დაწესებულების დირექტორი ვალდებულია საგანგებო სიტუაციების შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს;

5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე დაწესებულების დირექტორი მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ.

6. გადაწყვეტილებას სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ ინდივიდუალური-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით იღებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დაწესებულების დირექტორის მომართვის საფუძველზე.

მუხლი 5. ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის და საკუთრების ხელყოფის დროს დაწესებულების მიერ გასატარებელი ღონისძიებები

1. დაწესებულებაში ადამიანთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფისას დაწესებულების დირექტორი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს და მიაწოდოს ინფორმაცია:

ა) გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურს, ხოლო ადამიანთა სიცოცხლის და/ან ჯანმრთელობის მასობრივი ხელყოფის შემთხვევაში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს;

გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს;

დ) დაზარალებული მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს;

ე) დაზარალებული მასწავლებლის, ადმინისტრაციული-ტექნიკური პერსონალის ოჯახის წევრებს.

2. დაზარალებული პირის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანამდე დაწესებულების დირექტორი უზრუნველყოფს დაშავებულისათვის გადაუდებელი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას.

3. დაწესებულებაში საკუთრების ხელყოფის ფაქტის გამოვლენისას დაწესებულების დირექტორი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს და მიაწოდოს ინფორმაცია:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს;

4. დაწესებულებაში ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის და საკუთრების ხელყოფისას დაწესებულების დირექტორი ვალდებულია დაეხმაროს საგამოძიებო ორგანოებს საგამოძიებო მოქმედებების ჩარარებაში.

მუხლი 6. A ფეთქებადი ნივთიერებების დაწესებულებაში აღმოჩენისას ან დაწესებულებაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შემოსული ანონიმური ზარების დროს დაწესებულების მიერ გასატარებელი ღონისძიებები

ფეთქებადი ნივთიერებების დაწესებულებაში აღმოჩენისას ან დაწესებულებაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შემოსული ანონიმური ზარების დროს დაწესებულების დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) მოსწავლეების, მასწავლებლების და დაწესებულების შენობაში მყოფი სხვა პირების დაწესებულებიდან გამოყვანა და მათი უსაფრთხო ადგილას განთავსება;

ბ) იმ პირთა აღწერა, რომლებიც ევაკუირებულნი იქნენ დაწესებულების შენობიდან;

გ) პოლიციის ადგილობრივ განყოფილებასთან დაკავშირება და ინფორმაციის მიწოდება, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინფორმირება.

მუხლი 7. დაწესებულების დირექტორის პასუხისმგებლობა

დაწესებულებაში ადამიანების გადამდები დაავადებების, საგანგებო სიტუაციების, ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის და საკუთრების ხელყოფის, ფეთქებადი ნივთიერებების დაწესებულებაში აღმოჩენისას ან დაწესებულებაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შემოსული ანონიმური ზარების დროს წინამდებარე ინსტრუქციის შესრულებაზე პასუხისმგებელია დაწესებულების დირექტორი.